საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ბრძანება №347

KA010161620589621

თბილისი

29 / ივლისი / 2021 წ.

საგრანტო პროგრამა №001-2021-ის – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“ – დამტკიცების შესახებ

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ და „ს“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის № 160 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს თანდართული საგრანტო პროგრამა № 001-2021 – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“.

2. საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის მონიტორინგი განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ადმინისტრაციისა (დეპარტამენტი) და ეკონომიკური დეპარტამენტის მეშვეობით.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრი

რატი ბრეგაძე